

969/3.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 10 (345)

1969 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (345)

ოქტომბერი

1969 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

ბანყოფილება პირველი

179. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დემუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ კანონში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.
182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჭარბების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შეცვლის თაობაზე.
183. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რეაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ.
184. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობისა და შრომითი აღზრდის მდგომარეობის შესახებ.

ბანუოზილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

179 „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმე-
 შრენობების, საბოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანს-
 პორტო, საგზინალო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების
 წახშობის ჩაბრუნების, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო საშუალო სა-
 მუშაოების მოწოდებისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებ-
 ლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბრუნების, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო საშუალოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-3 და მე-6 მუხლებში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. № 5, მუხ. 4, 1962 წ. № 15, მუხ. 232, 1965 წ. № 20, მუხ. 411) და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოთა მეურნეობები, სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ორგანიზაციებისა) მონაწილეობენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორის, სამშენებლო და საგზაო მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში (ხოლო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობები — თვითნებური სატვირთო ავტომობილის ერთი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში). მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის (მთლიანი პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო საშუალების, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისაგან მიღებული საერთო შემოსავლის მოცულობის და ა. შ.) არანაკლებ 0,2 პროცენტისა.

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოების და ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის ის ნაწილი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს საგზაო საშუალებებზე, აღემატება მათი კუთვნილი ტრანსპორტისა და მექანიზმების გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ღირებულებას და ამავდროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება შესარულონ ეს ნაწილი თავიანთი ტრანსპორტითა და მექანიზმებით, მათ შეუძლიათ განსხვავება დაფარონ ფულადი შენატანით“.

„6. ამ ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა, ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის 0,2 პროცენტის ოდენობით, ხოლო მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციები — მათი წლიური ბრუნვის (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად) 0,02 პროცენტის ოდენობით.

2. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1970 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანტაძე.

თბილისი, 1969 წლის 13 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევის სათვის პასუხისმგებლობის გააქტიურების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევა, უკეთეს ეს ჩადენილია პირველად, გამოიწვევს პროდუქტების კონფისკაციას.

2. მასალებს ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შესახებ ერთპიროვნულად განიხილავს სახალხო მოსამართლე დღემის განმავლობაში.

3. სახალხო მოსამართლის დადგენილება ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ საბოლოოა, მისი გასაჩივრება არ შეიძლება და დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.

4. დამატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს 165¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 165¹. ვაჭრობის მომწესრიგებელი დადგენილებების დარღვევა

სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევა, უკეთეს იგი ჩადენილია ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე, პროდუქტების კონფისკაციით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანტაძე.

თბილისი, 1969 წლის 24 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

181 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მხრით აღმართული ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ კანონი ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეთანხმებით

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ივნისის ბრძანებულებისა „იმის თაობაზე, რომ შეტანილ იქნეს ზოგიერთი ცვლილება და დამატება სსრ კავშირის კანონში (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ)“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მხრით აღმართული ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ. № 3, მუხ. 47) შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-18 მუხლში სიტყვები „განიხილავს“ და „საბიუჯეტო კომისია“ შეიცვალოს სიტყვებით „განიხილავენ“ და „მუდმივი კომისიები“, ხოლო მე-20, 29-ე, 63-ე, 73-ე, 85-ე, 95-ე, 107-ე, 117-ე, 127-ე, 136-ე, 146-ე და 155-ე მუხლებში სიტყვები „საბიუჯეტო კომისიის“ შეიცვალოს სიტყვებით „მუდმივი კომისიების“.

2. მე-19, 28-ე, 61-ე, 62-ე, 72-ე, 83-ე, 84-ე, 94-ე, 105-ე, 106-ე, 116-ე, 125-ე, 126-ე, 135-ე, 144-ე, 145-ე და 154-ე მუხლებში სიტყვები „საბიუჯეტო კომისია“, „მოისმენს“, „განიხილავს“, „შეადგენს“, „წარუდგენს“ და „რომელიც“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „მუდმივი კომისიები“, „მოისმენენ“, „განიხილვენ“, „შეადგენენ“, „წარადგენენ“ და „რომლებიც“.

3. ამოღებულ იქნეს შემდეგი სიტყვები:

მე-7, მე-11, მე-16, მე-17, მე-19, 24-ე და 33-ე მუხლებიდან — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო“, „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს“ და „სახალხო მეურნეობის საბჭოს“;

მე-9 და 32-ე მუხლებიდან — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს“ და „გარდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ანარიცხების იმ ნაწილისა, რომელიც საკავშირო ბიუჯეტს გადაეცემა“;

37-ე მუხლიდან — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში არსებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კაპიტალურ დაბანდებათა გარდა“.

4. დამატოს კანონს მუხლი 29¹ — შემდეგი შინაარსისა:

„29¹. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები წინასწარ განიხილვენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში წარდგენილ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს და საქა-

რთველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენენ დასკვნებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-13 მუხლის შევსების თაობაზე“ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე“

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-13 მუხლის შევსების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 18 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ. № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541; 1964 წ., № 4, მუხ. 80; 1966 წ., № 8, მუხ. 132; 1967 წ., № 6, მუხ. 350; 1968 წ., № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 14) სიტყვების „სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების არაერთგზის დარღვევისათვის“ შემდეგ შეივსოს შემდეგი შინაარსის აბზაციით:

„მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ინსპექციათა ორგანოებს — საქვევცენტროლო ობიექტებზე სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების არაერთგზის დარღვევისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

183 რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის აშხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებუტატების მიერ წარდგენილი მასალები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ კანონის შესასრულებლად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა.

საგრძობლად განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე საქმსპლუატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები 80.486 მოსწავლის ადგილით.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი მუშაობა გაწეული აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში, ბათუმში, ფოთში, ქობულეთის, ზუგდიდის, მახარაძის, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჩოხატაურის, გორის, ქარელის, ონის, ცხაკაიას, ვალისა და წყალტუბოს რაიონებში.

სკოლებში დაინერგა სწავლების ახალი მეთოდები, მკვეთრად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მოსწავლეთა ცოდნა უფრო მტკიცე, მკვიდრი და საფუძვლიანი გახდა. საგრძობლად ამაღლდა მასწავლებელთა და სკოლების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია.

გარკვეული მუშაობა ჩატარებული სკოლა-ინტერნატებში, რესპუბლიკის 66 სკოლა-ინტერნატში სწავლობს 21.669 ბავშვი.

იზრდება იმ ახალგაზრდა მუშებისა და კოლმეურნეების რიცხვი, რომლებიც სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად. 1968—1969 სასწავლო წელს ამ ტიპის სკოლებში ირიცხებოდა 51.017 მოსწავლე.

წარმატებით სრულდება საყოველთაო განათლების სახელმწიფო გეგმები თბილისში, გორში, ბათუმში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, აგრეთვე გორის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ყვარლის, მახარაძის, მცხეთის, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ხაშურის, ხობის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონებში.

ამასთან ერთად აღნიშნული კანონის განხორციელებაში არის სერიოზული ხარვეზები. მთლიანად რესპუბლიკაში მიმდინარე სასწავლო წელს არ შესრულებულა სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმა.

1969—1970 სასწავლო წელს I-VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკაში შესრულდა 99,86 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 98,69-ით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 98,47-ით, ქ. ფოთში — 97,57-ით, ქ. ტყიბულში — 97,83-ით, ახალქალაქის რაიონში — 98,66-ით, ახალციხის რაიონში — 97,5-ით, ბოგდანოვკის რაიონში — 98,0-ით, ყაზბეგის რაიონში — 80,9-ით, მარნეულის რაიონში — 98,23 პროცენტით. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა არ არის შესრულებული აგრეთვე

გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის, ონის, თელავის, თეთრიწყაროს, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, ცხაკაიას რაიონებში.

ჯერ კიდევ დიდია სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა.

რეაწლიანი სკოლის სრულ კურსს პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 79 პროცენტი ამთავრებს. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ყაზბეგის რაიონში, სადაც 8 კლასი დაამთავრა პირველ კლასში მიღებულთა 50,8 პროცენტმა, მარნეულის რაიონში — 59,6-მა, საგარეჯოს რაიონში — 57,9-მა, მესტიის რაიონში — 65-მა, ახმეტის რაიონში — 66,6-მა, დმანისის რაიონში — 66,2-მა, ბოლნისის რაიონში — 67,8-მა, გარდაბნის რაიონში — 67,7-მა, ლაგოდეხის რაიონში — 68,8-მა, ლენტეხის რაიონში — 66,4 პროცენტმა.

საჭირო რაოდენობის სასკოლო შენობათა უქონლობის გამო ბევრ სკოლაში შეცადინებოა ორ ცვლად, ხოლო ზოგჯერ სამ ცვლად წარმოებს. ამავე დროს ზოგიერთი სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა ორგანიზაცია, არსებულ შესაძლებლობათა მიუხედავად, არ ეწევა სასკოლო მშენებლობას.

ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი დგამ-ავეჯით, ხოლო ახალი ავეჯის დამზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. დაბალია დამზადებული ავეჯის ხარისხი.

საკმარისი არ არის სასკოლო სახელმძღვანელოების ტირაჟი.

ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, დუშეთის, მესტიის, ლენტეხის, ახმეტის და ზოგიერთი სხვა მთიანი რაიონის სკოლებში ცალკეული საგნების პედაგოგთა ნაკლებობაა. ამავე დროს საჭიროა მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა პროფესიული მომზადების დონის და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და განათლების ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ სასკოლო ინტერნატების კეთილმოწყობისათვის. საკმაო ყურადღება არ ექცევა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სკოლების გახსნას. რაც რაიონში არ არის ორგანიზებული შორეულ სოფლებში მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით მიყვანა სკოლამდე და უკან საცხოვრებელ ადგილამდე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით. ზოგიერთ სკოლაში არ იყენებენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდს ხელმოკლე მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

მცირე რაოდენობითაა სპეციალური სკოლა-ინტერნატები ფიზიკური და გონებრივი დეფექტის მქონე ბავშვებისათვის.

რესპუბლიკის რიგ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური წარმატება; დიდია მეორეწლიანობა.

1968—1969 სასწავლო წლის ბოლოს საგანაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შემდეგ იმავე კლასში დატოვებულ იქნა I-VIII კლასების 38.967 მოსწავლე, ანუ არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 5,01 პროცენტი. სასწავლო წლის დამდეგისათვის მეორეწლიან მოსწავლეთა

ამ რაოდენობიდან 4.007 ბავშვი აღარ დაუბრუნდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ყაზბეგის, ბოლნისის, ახალციხის, ახალქალაქის, კასპის, თიანეთის, დუშეთის და ზოგიერთ სხვა რაიონში ნაკლოვანებები სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომი, მუდმივი კომისიები, დეპუტატები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა არ წარმოებს დაწესებული ინსტრუქციის შესაბამისად, სესიებზე, აღმასკომის და კომისიის სხდომებზე ნაკლებად იხილავენ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საკითხებს და საჭირო ზომებს არღებულობენ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლაში უკლებლივ ჩასაბმელად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს რა უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებას და მომავალი 1970 წლიდან საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო განათლების თანამიმდევრულად შემოღებას, ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, განათლების ორგანოებთან ერთად:

ა) უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელად განხორციელება: გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შესანარჩუნებლად;

ბ) დასახონ და ჩაატარონ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები უახლოეს დროში საყოველთაო საშუალო განათლების განსახორციელებლად;

გ) მიიღონ ზომები სკოლა-ინტერნატებსა და სასკოლო ინტერნატებში ბავშვთა ცხოვრებისა და სწავლის ნორმალური პირობების შესაქმნელად, სასკოლო დაწესებულების საჭირო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად. ფართოდ გაშალონ მუშაობა, რათა საკუთარი სახსრებით სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობაში უფრო მეტად ჩაებან წარმოება-დაწესებულებები და კოლმეურნეობები;

დ) საბჭოების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების აქტიური მონაწილეობით მტკიცედ დარაზმონ ფართო საზოგადოებრიობა საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო სწავლებაზე გადასასვლელად საჭირო პირობების შესაქმნელად; სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მოქმედებით უზრუნველყონ ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

ა) არსებითად გააუმჯობესოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში. უზრუნველყოს სკოლები და სკოლა-ინტერნატები კაბინეტ-ლაბორატო-

რიებით და სახელოსნოებით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით და აუცილებელი თვალსაჩინო მასალებით;

ბ) გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის, პროფესიული კვალიფიკაციის და პედაგოგიური დაოსტატების განუხრელად ამაღლებისათვის; ფართოდ დაწერგოს იმ მოწინავე სკოლების, კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს თვალსაჩინო შედეგებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების და მეორეწლიანობის აღმოფხვრის საქმეში;

გ) შეისწავლოს და კოლეგიის სხდომებზე მოისმინოს იმ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა ანგარიშები, რომლებსაც შესრულებული არ აქვთ მოსწავლეთა კონტინგენტის სახელმწიფო გეგმა და დასახოს ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

3. საქართველოს სსრ მშენებლობისა და განათლების სამინისტროებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები სკოლების, სასკოლო ინტერნატების და სხვა საბავშვო დაწესებულებების ასაშენებლად გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანად და დროულად ათვისებისათვის, სისტემატური კონტროლი დააწესონ თითოეული ობიექტის მშენებლობაზე, გადაჭრით გააუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და უზრუნველყონ ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემა დადგენილ ვადებში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს:

ა) სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხი იმ ვარაუდით, რომ უახლოეს წლებში მკვეთრად შემცირდეს ცვლიანი მეცადინეობა;

ბ) „სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. პაპაშვილი.

თბილისი, 1969 წლის 27 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

184 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობისა და შრომითი აღზრდის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ბერიანიძის მოხსენება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობისა და შრომითი აღზრდის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ რესპუბ-

ლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისა და შრომითი აღზრდის მდგომარეობა. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, განათლების ორგანოებმა, გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სკოლადამთავრებულ ახალგაზრდათა შორის შრომითი ჩვევების დანერგვისა და მათი პროფორიენტაციის საქმეში. პრაქტიკაში დაინერგა ახალგაზრდების შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან:

ამასთან ერთად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობისა და აღზრდის საქმეში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს. ახალგაზრდების შრომითი მოწყობის გეგმები ვერ შეასრულეს ქ. ფოთში, ქ. ტყიბულში, აბაშის, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, დმანისის, საგარეჯოს და თიანეთის რაიონებში.

ნაკლოვანებებია საწარმოებში მოსული ახალგაზრდებისათვის საჭირო პირობების შექმნის საქმეში, რაც იწვევს ახალგაზრდა მუშების დენადობას (ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის, საჩხერის, ვანის, ბორჯომის რაიონები, ქ. თბილისი და ქ. ჭიათურა).

რიგი წარმოება-დაწესებულება, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სათანადო პირობებს არ უქმნიან საღამოს სკოლების მოსწავლეებს, რის შედეგადაც ადგილი აქვს განთესვას და აკადემიურ ჩამორჩენას.

ზოგიერთ საწარმოში, სადაც ახალგაზრდები შრომობენ, დაბალია საწარმოო კულტურა, არღვევენ უსაფრთხოების წესებს, ნაკლები ყურადღება ექცევა კულტურული დასვენების ორგანიზაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი და რეკომენდაციები.

2. ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი და რეკომენდაციები — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობისა და შრომითი აღზრდის მდგომარეობის შესახებ განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

ბანყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

185 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისა გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:

1. ალექსანდრე ივანეს ძე დუდინი — რიგითი ჯარისკაცი.
2. რუბენ ვართანის ძე ვარძელიანი — ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწინძაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

186 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის

1. ელენე დავითის ასულ აბაშიძეს — თბილისის მე-4 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
2. პლატონიდა მელიტონის ასულ აბაშიძეს — თერჯოლის რაიონის ზედა საზანოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.
3. მარიამ ანდრიას ასულ აბრამიშვილს — თბილისის მე-7 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
4. მარიამ იასონის ასულ ამირანაშვილს — თერჯოლის რაიონის ძეგრის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
5. ლეილა ნიკოლოზის ასულ ანჩაბაძეს — სოხუმის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორს.
6. ნინო არტემის ასულ არაქელიძეს — დუშეთის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
7. თამარ ნიკოლოზის ასულ ასათიანს — აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.
8. ოქტიაბრინა სპირიდონის ასულ ასლამაშვილს — წალკის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

9. გრიგოლ ვასილის ძე **ბარამიძეს** — თბილისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
10. დიმიტრი მიხეილის ძე **ბაქრაძეს** — თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმის მასწავლებელს.
11. ქრისტინე ვასილის ასულ **ბაშარულს** — დუშეთის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.
12. გიორგი ივანეს ძე **ბოლქვაძეს** — პენსიონერს.
13. ალექსანდრე გიორგის ძე **ბეჟანიშვილს** — კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
14. ნინო გაბრიელის ასულ **ბზიაშვილს** — გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს.
15. შალვა იოსების ძე **ბურდულს** — თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის მასწავლებელს.
16. იაკობ სიმონის ძე **ბურჭულაძეს** — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
17. შოთა ირაკლის ძე **გაღდავაძეს** — თბილისის ლენინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
18. ლილი დიმიტრის ასულ **გეგენავას** — ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
19. თამარ ვლადიმერის ასულ **გელაძეს** — ყაზბეგის რაიონის გარბნის დაწყებითი სკოლის გამგეს.
20. გიორგი ილიას ძე **გელაძეს** — თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
21. მარიამ კონსტანტინეს ასულ **გვარამაძეს** — ახალციხის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
22. თამარ ივანეს ასულ **გვერდწითელს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტს.
23. პავლე პეტრეს ძე **გზირიშვილს** — ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
24. ვასილ ნიკოლოზის ძე **გიორგობიანს** — მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
25. გერასიმე გიორგის ძე **გლოველს** — თბილისის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მეთოდისტს.
26. ლეონტი ნიკოლოზის ძე **გობეჩიას** — პენსიონერს.
27. თამარ სიმონის ასულ **გოგიტიძეს** — თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
28. მარგალიტა ვიქტორის ასულ **გორგაძე-ხარალიძეს** — ხაშურის რკინიგზის № 9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
29. ნიაზ ხუსეინის ძე **გორგილაძეს** — ბათუმის რაიონის თბილნარის საშუალო სკოლის დირექტორს.
30. ნიკოლოზ ფილიპეს ძე **გუგუმბერიძეს** — პენსიონერს.



31. პეტრე სპირიდონის ძე გურაბანიძეს — ჭიათურის წირქვალის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
32. ნიკოლოზ ივლიანეს ძე გურგენიძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელს.
33. რობინზონ დიმიტრის ძე გურჩიანს — მესტიის რაიონის ეცერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
34. ილიას მუსტაფა ოღლი გუსეინოვს — ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
35. ნიკოლოზ საბას ძე გუჭავიანს — მესტიის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
36. თამარ ლაზარეს ასულ დავითაშვილს — თბილისის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.
37. ივანე არტემის ძე დავთიანს — პენსიონერს.
38. მარიამ მაქსიმეს ასულ დარცმელიას — სოხუმის რაიონის პესლეტის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
39. მირიან არტემის ძე დედანაშვილს — თბილისის მხატვრული თვითმომკმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მასწავლებელს.
40. მარგარიტა დავითის ასულ დეკანოზიძე-როსებაშვილს — პენსიონერს.
41. ვერა დიმიტრის ასულ დემიანოვას — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
42. მარიამ ლავრენტის ასულ დვალს — ქუთაისის მიწის ტარის ქარხნის საბავშვო ბაღის გამგეს.
43. მიხეილ თევდორეს ძე დვოროვენკოს — პენსიონერს.
44. ვალერია ალექსანდრეს ასულ დიდმელოვას — თბილისის მე-7 მუსიკალური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
45. გრიგოლ ივანეს ძე დოღმაზიანს — თბილისის 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
46. ცაცა ვასილის ასულ დონაძეს — ქუთაისის რკინიგზის № 12 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
47. რეგინა სოლომონის ასულ ევთიშვილს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.
48. დარეჯან გერმანეს ასულ ესაძეს — თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
49. სოფიო იოსების ასულ ვანაჩას — გუდაუთის რაიონის ტვანაარხუს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
50. ქეთო გიორგის ასულ ვარსიმაშვილს — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
51. თამარ ვასილის ასულ ზანდუკელს — დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
52. ელენე იასეს ასულ ზაუტაშვილს — ყვარლის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.

53. მიხეილ ოსმანის ძე ზაქარაძეს — ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
54. რაფიელ კონსტანტინეს ძე თავართქილაძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.
55. სოფიო ივანეს ასულ თავართქილაძეს — დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
56. ეთერ სევერიანეს ასულ თვალაძეს — გევეჭკორის რაიონის ნახარბავოს რვაწლიანი სკოლის დირექტორს.
57. ველა სევერიანეს ძე თედორაძეს — წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
58. ნინო პეტრეს ასულ თიბილოვას — ზნაურის რაიონის წნელისის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
59. ქეთევან დიმიტრის ასულ თუმანიშვილს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
60. მიხეილ ისაკის ძე თხილაიშვილს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტს.
61. ლუბა რაუდენის ასულ იმნაიშვილს — ლანჩხუთის რაიონის შუბხუთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
62. სიკო დარისპანის ძე კაზიევს — ცხინვალის რაიონის ქვემო კორკულის დაწყებითი სკოლის გამგეს.
63. ვერა გიორგის ასულ კაკაურიძეს — პენსიონერს.
64. სანდრო ბეგლარის ძე კაკულიას — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.
65. მირიან საველის ძე კაკურიას — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.
66. შალვა ვლადიმერის ძე კაკიტაძეს — წყალტუბოს რაიონის დერჩის საშუალო სკოლის დირექტორს.
67. გრიგოლ ივანეს ძე კალაძეს — ვარდაბნის რაიონის მარტყოფის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.
68. კარლო ანდრიას ძე კალაძეს — ლაგოდეხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
69. პელაგია პეტრეს ასულ კაპანაძეს — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
70. ლეონტი ანტონის ძე კარტოზიას — საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორს.
71. ქეთევან ივანეს ასულ კასრაძეს — დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
72. ალექსანდრე მიხეილის ძე კაციას — ოჩამჩირის რაიონის აძუბუას მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს.
73. ქეთევან ალექსანდრეს ასულ კახიას — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

11030



74. დომნა ყარამანის ასულ **კეკელიძეს** — ჩოხატაურის რაიონის რეწლიანის სკოლის მასწავლებელს.
75. მარიამ ლეონტის ასულ **კეკელიძეს** — თბილისის 69-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
76. სერაპიონ სიმონის ძე **კერესელიძეს** — თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმის მასწავლებელს.
